ოქმი:**ო02. 3723296001**

თარიღი:**23/10/2023**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 20 ოქტომბერი

ქ.ოზურგეთი

13:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ.ტუღუში; ალ.ღლონტი; ლ.კილაძე; დ.ჭაკნელიძე; ნ.ურუშაძე; გ.სირაძე; ნ.ჭანიშვილი; ნ.სარჯველაძე; დ. მდინარაძე; ლ.ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ქალაქ ოზურგეთში, ე. ნინოშვილისა და ა. ჟორჟოლიანის ქუჩებზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

კომისიის თავმჯდომარე ბექა თოიძემ კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო ინფორმაცია აღნიშნულ ქუჩებზე თუ სად რა სახის საგზაო ნიშნების განთავსება იგეგმება. მისივე განცხადებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნინოშვილის ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ათეულობით ბავშვი გადაადგილდება.აღნიშნული ღონისძიებების შედეგად ფაქტობრივად ჩაიხსნება ზემოთ აღნიშნული ქუჩების კვეთაზე ქვეითად მოსიარულეთათვის მოსალოდნელი საფრთხე.

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელში, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ეხება რეგიონში განსახორციელებელი ფონდიდან, დასაფინანსებელ ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონებას. ეს არის ნატანების

ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. ჯაფარეული-ახალშენის საგზაო მონაკვეთი (4870მ).

კომისიის წევრის, ნატანების მაჟორიტარის თამაზ ტუღუშის განცხადებით ეს არის -ერთ-ერთი დიდი საგზაო მონაკვეთი ნატანებში, რომლიც საჭიროებს რეაბილიტაციას, ამ გზით სარგებლობს დაახლოებით 300 კომლი და ეს ამ სოფლისთვის იქნება საკმაოდ მასშტაბური პროექტი. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სხვა დასახლებულ პუნქტებთან გადაადგილების დაჩქარებას.ამასთან, რეაბილიტირებული გზა გააუმჯობესებს სოფლის იერ-სახეს.

სხდომის თავმჯდომარემ დასკვნა წარუდგინა კომისიას დასამტკიცებლად, რომელიც დამტკიცდა 11 ხმით. (დასკვნა თან ერთვის)

გადაწყვიტეს:

კომისიის დღის წესრიგით გათვალისიწნებული საკიტხები (1, 2) წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი